ოქმი:**ო08.37222492**
თარიღი:**06/09/2022**

ოქმი № 19
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 6 სექტემბერი

ქ.ოზურგეთი

12.00 -12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ურუშაძე, გ. ჩავლეშვილი, ბ. კილაძე, გ. შილაკაძე, თ. ტუღუში, ალ. ღლონტი, გ. შარაშენიძე, ალ. ბურჭულაძე, ვ. ნიჟარაძე.
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე -ლ. ბიგვავა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N 17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

   მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

   თანამომხსნებელი: პ. ჭყონია
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.
   მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე
   თანამომხსნებელი: თ. ბაქანიძე
3. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N28 განკარგულებაში ცვლოლებების შეტანის თაობაზე.
   მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის პირველ საკითხზე, კონკრეტულად მასზე კომისიის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, მოხსენების მოსმენის შემდეგ, სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ სასურველია ქონების გადასახადიდან დამატებით შემოსული თანხები ჩაიდოს ეკონომიკის განვითარებაში. საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ მისასალმებელია ბიუჯეტის

ზრდა საკუთარი შემოსავლების ზრდის ხარჯზე, რაც ქვეყნის ეკონომიკური წინვლის ნიშანია. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ, ასევე მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის მეორე საკითხზე, ნუსხა კი კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ, ისაუბრა დღის წესრიგის მესამე საკითხზე, კომისიის წევრებმა მოიწონეს განკარგულების პროექტი და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დღის წესრიგში წარმოდგენილი სამივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე, ამასთან N 1, 3 განხილვისა და დამტკიცების, ხოლო N 2 განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი